პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 253 (6062)
1977 წ.
27 დეკემბერი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვენების დღე

როგორ გავატაროთ შაბათი და კვირა? კუიბიშევის მეტალურგიულ ქარხანაში ეს წინასწარვე იციან. პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები, ადმინისტრაცია ზრუნავენ, რათა მშრომელებმა შინაარსიანად და მრავალფეროვნად გაატარონ თავისუფალი დრო. ბოლო გამოსასვლელ დღეებში მეტალურგებმა დაათვალიერეს ლენინის ადგილები, ისინი მეცადინეობდნენ კულტურის სასახლის მხატვრული თვითმოქმედების წრეებში და სპორტული კომპლექსის სექციებში.

მოსახლეობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის დიდი გამოცდილება აქვთ მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინის ქალაქებში, ბელორუსიასა და სხვა რესპუბლიკებში. რა იქცევს ყურადღებას? თაოსნობა, გეგმაზომიერება და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა. ავიღოთ დედაქალაქის ჟდანოვის სახელობის რაიონი. პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით აქ შედგენილია და ცხოვრებაში ატარებენ სოციალური განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კლუბების, ბიბლიოთეკების, დასვენების ბაზების ქსელის გაფართოებას. ამ ობიექტების ნაწილი კოოპერაციულ საწყისებზე შენდება. წესად იქცა საწარმოებში გამოსასვლელი დღის კოლექტიურად გატარების პროგრამის შემუშავება. წიგნის მოყვარულები, სპორტსმენები, ფილატელისტები, მეყვავილეები — ყველა პოულობს სასურველ საქმეს.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისა და მშრომელთა აქტიური დასვენებისთვის პირობების შექმნა — სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიური პროგრამის შემადგენელი ნაწილია. იგი თანდათან ხორციელდება და აღნიშნულის შესრულებისდა მიხედვით ეს შესაძლებლობები სისტემატურად ფართოვდება. ჩვენს ქვეყანაში არის 135 ათასზე მეტი საკლუბო დაწესებულება, 350 ათასი ბიბლიოთეკა, 2 ათასამდე თეატრი და მუზეუმი, 154 ათასი კინოდანადგარი, 63 ათასზე მეტი სპორტული დარბაზი. მათი რიცხვი უფრო გაიზრდება ხუთწლედის დამდეგ, მესამე წელს, რომლის გეგმა მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ და კანონმდებლობით დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ასე რეალურად დასტურდება ღრმა სიცხოველე ჩვენი ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებისა, რომელიც ადამიანებს კულტურის მიღწევებით სარგებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების გარანტიის უფლებას აძლევს.

ბოლო დროს, განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს, კულტურულ-მასობრივი მუშაობის პრაქტიკა შესამჩნევად გამდიდრდა. ხშირად ეწყობა ექსკურსიები რევოლუციური დიდების ადგილებში, შეხვედრები შრომისა და ომის ვეტერანებთან, თეატრალურ პრემიერებზე დასწრება, მხატვრული გამოფენების დათვალიერება. მსგავსი ღონისძიებები, თუ არჩევანი მრავალფეროვანია, ყოველთვის ფართო პოპულარობით სარგებლობენ.

ბევრს დაამახსოვრდა საკლუბო სცენის მსახიობთა შთამბეჭდავი გამოსვლები ახლახან გამართულ მხატვრული შემოქმედების საკავშირო ფესტივალზე. მათ ხალხისთვის მოაქვთ ხელოვნებასთან ურთიერთობის სიხარული, ეხმარება თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებაში. წარმატებით ასრულებენ ამ ამოცანას, მაგალითად, ვლადიმირისა და კოსტრომის ოლქების თვითმოქმედი მსახიობები — მონაწილეობას ღებულობენ შრომის მოწინავეთა პატივსაცემად გამართულ ახალგაზრდულ საღამოებში. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანაა თვითმოქმედების შემდგომი განვითარება და მშრომელთა კულტურული დასვენებისთვის (მათ რიცხვში კვირა დღის) მისი სრული გამოყენება.

საკუთარი თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ გამოიყენოს თავისუფალი დრო, თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ ხშირად თავისუფალი საათები უქმად იხარჯება. მათ სწორად გამოყენებას ხელს უშლის მავნე საყოფაცხოვრებო ტრადიციები, წარსულის გადმონაშთები. ვინც სპირტიან სასმელებს ეტანება, თავისთავსაც და ირგვლივ მყოფთაც ხელს უშლის ნორმალურად დასვენებაში. საზოგადოებრიობა აქტიურად უნდა აღუდგეს ყველაფერს, რაც ხელს უშლის ჯანსაღ ყოფას, ადამიანებს გამოუმუშავოს მისწრაფება კულტურული, შინაარსიანი დასვენებისადმი, ამისთვის შექმნას შესაფერი პირობები. მთელ რიგ კოლექტივებში მიაჩნიათ, რომ გამოსასვლელი დღეებისთვის ზრუნვა აუცილებელი არ არის. მაგალითად, პერმის ოლქის ოსინსკის სატყეო სამრეწველო მეურნეობის დასახლებათა კლუბებში დასვენების საღამოები, თვითმოქმედების კონცერტები შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობა, ხოლო ბერიოზოვკის მცხოვრებლები კინოსაც კი იშვიათად ნახულობენ — აქ უკვე თითქმის წელიწადია ვერ უპოვიათ კინომექანიკოსი. პარტიული ორგანიზაციების ვალია მსგავსი ფაქტები პრინციპულად შეაფასონ, აამაღლონ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პროფკავშირული ორგანოების პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია მშრომელთა თავისუფალ დროსთან.

ახლა, ზამთარში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პარკებსა და დასვენების ზონებში ადამიანებმა შეძლონ თხილამურებითა და ციგურებით სეირნობა, მიიღონ მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში, მასობრივ სეირნობებში. უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამქირავებელი პუნქტების, კაფეებისა და ბუფეტების უწყვეტი მუშაობა, ასეთ ზონებში საჭიროა მოწესრიგდეს ტრანსპორტის ზუსტი მოძრაობა. არ შეიძლება დავივიწყოთ ისინი, ვინც მოდის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების კლუბებში, წითელ კუთხეებში, სათამაშო ოთახებში. „ჩვენთან, ბლაგოვეშჩენსკში, — წერს რედაქციას ვ. სიდოროვა, — ახალ მიკრორაიონებში ძუნწობენ გამოყონ ერთი-ორი ოთახი, სადაც მცხოვრებლები ხანდახან გაატარებენ კვირადღეს. ცოტაა წითელი კუთხეების რაოდენობა. კოლექტიური დასვენება ხომ სოციალისტური ყოფის დამახასიათებელი თვისებაა და იგი უნდა განვითარდეს“. სწორი ნათქვამია! საჭიროა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კლუბების ფილიალებისა და დასვენების ოთახებისთვის ადგილების შერჩევა. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით აქტიურად უნდა ჩაატარონ აღმზრდელობითი მუშაობა, რისთვისაც მიიზიდონ შეფები საწარმოებიდან და საზოგადოება „ცოდნის“ პროპაგანდისტები.

იზრდება ოჯახური დასვენებისთვის განკუთვნილი ქარხნების ბაზების პოპულარობა, რომლებიც შინაარსიანი დასვენების, ფიზიკური წრთობის, ბუნებასთან ურთიერთობის კარგ შესაძლებლობას იძლევიან. კურსკის ოლქში მხოლოდ ათობით საწარმოს აქვს ბაზები ქალაქგარეთ, ხოლო სმოლენსკის ოლქში ისინი სულაც არ გააჩნიათ. რატომ არ შეიძლება გამოიყენონ ამ მიზნით, როგორც ახლა ბევრგან აკეთებენ, ზამთრობით დაცარიელებული პიონერთა ბანაკები!

კულტურის ფასეულობასთან დაკავშირება, ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცება, შემოქმედებითი ენერგიის წყაროა ხუთწლედისთვის ბრძოლაში. და სწორედ იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც ცდილობენ სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების განუხრელად შესრულებას, უწყებებისა და ორგანიზაციების ძალას წარმართავენ იქითკენ, რომ საბჭოთა ხალხი მაქსიმალური სარგებლიანობით ატარებდეს გამოსასვლელ დღეებს, თავისუფალ დროს — საზოგადოების ფასდაუდებელ სიმდიდრეს.

გაზეთ „პრავდის“ 25 დეკემბრის მოწინავე.

ჩემი ეზო — ჩემი სტადიონი

„ქმობა“ და „საპოვნელა“

ქმობა
საპოვნელა

სურათებზე: სპორტული მოედნების — „ქმობისა“ და „საპოვნელას“ კარები ყოველთვის ღიაა მსურველთათვის.

ავტორის ფოტოება.

დლითი დღე იზრდება და ლამაზდება საქარხნო რაიონი — ჩვენი დედაქალაქის თითქმის ყველაზე ახალგაზრდა დასახლება. ძველი სახლები ახალმა კორპუსებმა შეცვალა, კეთილმოწყობილი ეზოები კიდევ უფრო დაამშვენა სპორტულმა მოედნებმა. ეს რაიონი ღია სპორტული მოედნების მხრივ ერთ-ერთი უმდიდრესია თბილისში.

ამ რაიონის № 103 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ (უფროსი ო. ჩალათაშვილი) აქვე, ესენინის ქუჩაზე მცხოვრები ბავშვებისთვის მოაწყო ფრენბურთისა და კალათბურთის სპორტული მოედნები. ბავშვების უმეტესობა სხვადასხვა ეროვნებისაა და სწორედ ამიტომ ეწოდა ამ სპორტულ კომპლექსს „ქმობა“. აღმზრდელობით მუშაობას ნორჩებში პედაგოგ-ორგანიზატორი ნ. მაჩურიშვილი ეწევა. ჩამოყალიბებულია სპორტული სექციები. კალათბურთის სექციას ხელმძღვანელობს ამავე რაიონის № 156 საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი მ. პინჩარაული, ფეხბურთში მეცადინეობას ატარებს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი თ. ჭანტურია. ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში მეცადინეობას თვით პედაგოგ-ორგანიზატორი ხელმძღვანელობს.

აბელედიანის ქუჩაზე № 24-ში მცხოვრები ბავშვებისთვის მოეწყო სპორტული მოედანი „საპოვნელა“. საქარხნო რაიონის საგზაო უბანმა (უფროსი ვ. ლექავა) მანქანებით მოზიდა მიწა, ხრეში, ღორღი. დააგეს ასფალტი. კალათბურთისა და ფრენბურთის დანადგარების დაყენება, მოედნის შემოღობვა და შეღებვა ამავე რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორამ ითავა (უფროსი ქ. კანდელაკი).

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით № 103 — 104 საექსპლოატაციო კანტორებს შორის ჩატარდა სპარტაკიადა მინი-ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, შაშში. გაიმარჯვა № 103 საექსპლოატაციო კანტორის კოლექტივმა, რომელიც ახლო ურთიერთობაშია ამავე რაიონის № 156 საშუალო სკოლასთან. ისინი ყოველ შაბათს ატარებენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს.

ჯ. სულაქველიძე.

მაია ჩიბურდანიძე ჩემპიონია

ლვოვი, 26 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ფინალში გუშინწინ და გუშინ შედგა XVI ტური და გადადებული პარტიების დამთავრება.

XVI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ნ. ალექსანდრია — მ. ჩიბურდანიძის შეხვედრა. მეტოქეებმა რთული თამაში გააჩაღეს, ცაიტნოტშიც მოექცნენ, მაგრამ უპირატესობას ვერც ერთი ვერ დაეუფლა. ყაიმი.

ლიდერთა მოცილეებმა ნ. იოსელიანმა და ა. ახშარუმოვამ თავიანთი პარტიები ვერ დაამთავრეს. იოსელიანმა ტ. ფომინასთან (ტალინი) სიცილიურ დაცვაში პაიკი მოიგო და პარტია ეტლების ენდშპილში გადადო. ახშარუმოვასაც ლ. სემიონოვასთან (კიევი) უკეთესი პოზიცია დარჩა.

ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) მოუგო ო. კოლოიარცევას (პენზა), ა. კისლოვამ (ლენინგრადის ოლქი) — მ. ლიტინსკაიას (ლვოვი) და ე. ახმილოვსკაიამ (კრასნოიარსკი) — ლ. პიარნპუუს (ტალინი). სხვა პარტიები გადაიდო.

გუშინ, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ალექსანდრიამ ვერ გატეხა პიარნპუუ, რომელიც შეუპოვრად იგერიებდა მუქარას. ბოლოს მეტოქენი დაზავდნენ.

იოსელიანმა და ახშარუმოვამ ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანეს გადადებული პარტიები ფომინასა და სემიონოვასთან.

ლ. ზაიცევამ მოუგო მ. მაკარიჩევას (ორივე — მოსკოვი), ახმილოვსკაიამ — კოლოიარცევას, კისლოვამ — ე. ეპშტეინს (მოსკოვი). ყაიმზე შეთანხმდნენ; ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ზაიცევა, მაკარიჩევა — ტ. მოროზოვა (ოდესა) და ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — ეპშტეინი.

კვლავ გადაიდო მოროზოვა — ლიტინსკაიას პარტია.

დასკვნითი, XVII ტურის წინ მ. ჩიბურდანიძეს 12,5 ქულა აქვს, ნ. ალექსანდრიას, ა. ახშარუმოვას — 11,5-11,5, ნ. იოსელიანს — 11.

უკანასკნელ საათს!

ბოლო ტურში მაია ჩიბურდანიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ელენა ახმილოვსკაიასთან, მოაგროვა 18 ქულა და საბჭოთა კავშირის 1977 წლის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

ჭადრაკი

ბრძოლა განახლდა

შაბათს ბელგრადში ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალურ მატჩში მოეწყო შეხვედრა ორჯერ გადადებული X პარტიის დასამთავრებლად. პარტია მოიგო კორჩნოიმ.

ორშაბათს უნდა შემდგარიყო XII პარტია.

მატჩის ანგარიშია 7,5:3,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

რვა ნაცნობი

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე, რომელიც ახალი ფორმულით ჩატარდა და შერჩევით ხასიათს ატარებდა, დამთავრდა. მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს რვა უძლიერესი კოლექტივი, ისინი იანვარ-მარტში შინ და სტუმრად ორ წრედ ითამაშებენ. პირველ ეტაპზე მოგროვებული ქულები გუნდებს ფინალშიც მიჰყვებათ.

კაუნასის სპორტის სასახლეში შაბათსა და კვირას გაიმართა პირველი წრის ბოლო ტურის მატჩები. 24 დეკემბერს ჩატარებული შეხვედრების შედეგები ასეთია: ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 91:79, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ვეფ-ი (რიგა) 94:89, რტი (მინსკი) — ასკ (რიგა) 114:81, „სტროიტელი“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 69:74, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) 95:69.

კვირას მოსკოვის არმიელებმა სატურნირო ცხრილში მეათე გამარჯვება ჩაიწერეს: ამჯერად მათ „სტროიტელი“ დაამარცხეს — 79:67, თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრაში ჩვენი დედაქალაქის კალათბურთელებს დაღლილობა აშკარად ეტყობოდათ და პირველივე ტაიმი 15 ქულით წააგეს (41:56). მდგომარეობის გამოსწორება მათ ვერც მეორე ნახევარში შეძლეს და კაუნასში მესამე მარცხი იწვნიეს — 74:99.

ამ დღეს ბედმა ლენინგრადელებსაც უმტყუნა — „ჟალგირისთან“ შეხვედრაში ნევისპირელებს თამაში არ გამოუვიდათ და დამარცხდნენ — 79:94, „კალევმა“ მოუგო რტი-ს — 101:84, „სტატიბამ“ — ასკ-ს — 97:94, ვეფმა — ვლადივოსტოკის „სპარტაკს“ — 110:87.

კალათბურთი

გათამაშების ცხრილი

პირველი წრის შემდეგ

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	10	1	1049—865	10
„სპარტაკი“ (ლ)	8	3	925—864	8
„დინამო“ (თბ)	7	4	951—920	7
„დინამო“ (მ)	6	5	1005—940	6
„კალევი“	6	5	837—826	6
„ჟალგირისი“	6	5	984—972	6
ვეფ-ი	6	5	991—1003	6
„სტროიტელი“	5	6	832—868	5
„სტატიბა“	4	7	900—904	4
რტი	4	7	972—999	4
ასკ	4	7	943—1044	4
„სპარ“. (ვლ.)	0	11	871—1055	0

საქართველოს სპორტკომიტეტში

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დიდი წვლილისთვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ზია მემედის-ძე მამუჭაძე**.

ხ ვ ა ლ

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 43) მოწვეულია საქართველოს **„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი.**

დასაწყისი 18 ს.

დიდი დასვენების სიკეთე

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით ამ ბოლო ხანებში ბევრი ღონისძიება დასახა საშუალო სკოლამ. სავალდებულო გახდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზიკური წუთშესვენება, ფიზკულტურაში საშინაო დავალებების მიცემა და სხვა, ორგანიზებულია დიდი დასვენება.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ნინუა) სასწავლო დღე, როგორც წესი, დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება. ჩატარდა საუბარი ბავშვებთან და მშობლებთან დიდი დასვენების მნიშვნელობაზე, მოსწავლეების დღის რეჟიმზე. გოგონებისა და ვაჟებისთვის ცალკ-ცალკე გამოიყო სავარჯიშო ადგილი, დაიხაზა მოედანი სხვადასხვა თამაშებისთვის, შეიძინეს სპორტული ინვენტარი, ყველა კლასისთვის შეადგინეს დიდი დასვენების ჩატარების გეგმა, რომელიც ყოველ ორ კვირაში ერთხელ იცვლება.

...ზარმა ბავშვებს მესამე გაკვეთილის დამთავრება აუწყა. ისინი კლასების მიხედვით მასწავლებლებთან ერთად გამოდიან საკლასო ოთახებიდან და იკავებენ თავიანთ ადგილებს. დაწყებითი კლასები თამაშობენ „მონადირე და იხვებს", მეოთხეკლასელები — „წრიულ ესტაფეტას", მეშვიდეკლასელები — ფრენბურთს, მერვეკლასელები — კალათბურთს, მეცხრეკლასელები — ლახტს, [illegible] — მინი-ფეხბურთს.

დიდი დასვენება საგრძნობლად ზრდის მოსწავლეთა მოძრაობით აქტივობას. გაკვეთილებზე მოსწავლეები აღარ გრძნობენ დაღლილობას, რაც ხელს უწყობს მათ მიერ სასწავლო პროგრამის მაღალხარისხოვნად ათვისებას. ბავშვები უფრო აქტიურები და ხალისიანები გახდნენ. სუფთა ჰაერზე თამაში ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაჟებას და მოსწავლეებს უვითარებს გამძლეობას.

დიდი დასვენება ოქტომბრის რაიონის 15 სკოლაში ტარდება, რასაც დიდ ყურადღებას აქცევს ამავე რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა (დირექტორი შ. ჯაფარიძე). სპორტსკოლის 562 მოსწავლიდან 74 სწორედ 23-ე საშუალო სკოლიდან არის.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 23-ე სკოლაში მეორე წელია გაიხსნა სამედიცინო ჯგუფი, რომელშიც ჩაბმულია ფიზიკურად სუსტი მოსწავლეები. მეცადინეობას მოწვეული სპეციალისტი ფ. კირთაძე ატარებს.

პ. სალუქვაძე.

* * *

სურათზე: დიდი დასვენება თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში.
ავტორის ფოტო.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

●

სჯობს გვიან...

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ფიზკულტურა და სპორტი. ჩვენი ძირითადი მიზანია ფიზკულტურა და სპორტი იყოს აბსოლუტურად მასობრივი, განუხრელად უწყობდეს ხელს ჯანსაღი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებას, მომავალი თაობის სწორ აღზრდას.

რა კეთდება ამ მიმართებით ადიგენის რაიონში? ვსვამთ ამ კითხვას და აქვე ვპასუხობთ — ძალზე ცოტა, თითქმის არაფერი...

კარგი ბუნებრივი პირობებით დაჯილდოებულ კუთხეს მუხლმაგარი ახალგაზრდობა ჰყავს, მაგრამ ბუნებით მომადლებულ თანდაყოლილ ფიზიკურ თვისებებს სწორი გზით განვითარება უნდა. რაიონს ჰყავს ფეხბურთელთა გუნდი „განახლება", რომელიც საქართველოს პირველობაში მონაწილეობს. გუნდში მოდიან თვითნასწავლი ფეხბურთელები, რომლებსაც აღმზრდელობითი წრთობა არ გაუვლიათ და რეგულარული ვარჯიშის საშუალება არც გუნდში აქვთ. მთელი ზამთარი — ხუთი თვე „საღათას ძილს" არიან მიცემული და ეს იმიტომ, რომ რაიონში ერთი ფეხბურთის მინდვრის გარდა არავითარი სპორტული ბაზა არა აქვთ.

მახსენდება ომისშემდგომი წლები, როცა სკოლის მოსწავლე მშობლიური ადიგენის რაიონის ჩემპიონი გავხდი მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ტყვიის სროლაში. მაშინ საჭირო თანხის უქონლობისა და ზოგიერთების უთაობის გამო რესპუბლიკურ პირველობაზე ვერ გამიშვეს. ომისგან დანგრეული ქვეყნის აღდგენის პერიოდში ამას გამართლებაც ჰქონდა. მაგრამ სავალალოა, რომ დღეს ადიგენში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

რაიონში ახალგაზრდებს უყვართ ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ცურვა, ზამთრის სპორტის სახეობები... ყველა სოფელში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში არიან სპორტის „ტრფიალები" და მით უფრო სამწუხაროა, რომ მათ არა აქვთ ბაზები. და ეს მაშინ, როდესაც რაიონის ბუნებრივი პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ მცირე სახსრებითაც აშენდეს ბაზები ზამთრის სპორტის სახეობებისათვის. ეს კი გაალვიძებს ღუმელთან მთვლემარე ახალგაზრდობას, გამოიყვანს გარეთ, მიიზიდავს სავარჯიშოდ და უეჭველია აქ დაიზრდებიან კარგი მოთხილამურეები.

ვიხსენებ ქართულ ანდაზას — „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს" და ვიმედოვნებ, რომ რაიონის ხელმძღვანელობა, კომკავშირელები, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მესვეურები, უახლოეს მომავალში დაძლევენ ჩამორჩენას და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას სკკპ XXV ყრილობის, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მოთხოვნათა დონეზე აიყვანენ.

გ. ფაილოძე.

სპორტის ეროვნულ სახეობებს — ალორძინება!

„კისრულისა" და „მოგვერდის" გარეშე?

შ. ჩოჩიშვილი საქართველოს ფალავანია

●

ჭიდაობის მოყვარულებს საქართველოს მრავალი კუთხიდან მოეყარათ თავი გორში, სადაც საბჭოთა კავშირის გმირის, ცნობილი პარტიზანის დავით ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი აბსოლუტური პირველობა მიმდინარეობდა ქართულ ჭიდაობაში.

ვიღას არ შევხვდებოდით ქალაქის საჭიდაო დარბაზში — აქ იყვნენ ჩვენი სპორტის ვეტერანები, წარსულში ცნობილი ფალავნები, ახალგაზრდები, ჭიდაობის ქომაგნი და თავკაცები, მაგრამ ყველაზე მეტად მე მაინც ჩემი ძველი ნაცნობის, მესტიელი სპორტის ოსტატის, ჭიდაობის ცნობილი მწვრთნელის რობიზონ ჯაფარიძის დანახვა გამეხარდა (რობიზონი ტურნირის ორგანიზატორებს შეჯიბრების ერთ-ერთ მსაჯად მოეწვიათ), გამეხარდა და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც, რადგან გორში იმ დილით თერმომეტრი 12 გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვემოთ, თოვლით გადალესილიყო ქალაქის ქუჩები და ადვილად წარმოვიდგინე რა იქნებოდა მაღალმთიან სვანეთში, საიდანაც ეს კაცი ჩამოვიდა. სწორედ ერთი თვის წინათ გახლდით მესტიაში და მაშინაც კი ჭირდა მგზავრობა — თითქმის ერთი მეტრი სისქის თოვლის საბურველი გადაჰკვროდა ხაიში — მესტიის ახალ სამანქანო გზას და ზოგი სკეპტიკოსი იმასაც კი იძახდა — სვანეთს არაფერი ეშველება, ზამთრობით ისევ ჩაიკეტება გზებიო, მაგრამ თურმე ახალ გზატკეცილს ზედ დაჰგურგურებენ მესტიელები.

— ყოველ ნაბიჯზე თოვლის საწმენდი გრეიდერები დგანან და ეგეც რომ არ იყოს, რა გული გამიძლებდა, საქართველოს აბსოლუტურ პირველობას არ დავსწრებოდიო. — მითხრა რობიზონმა და ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი ხაზს უსვამდა იმ დიდ ინტერესს, რაც გორის ტურნირს გამოეწვია მთელს რესპუბლიკაში.

— ამდენი მონაწილე არც ერთ აბსოლუტურ პირველობას არ ჰყოლიაო, — დაუმატა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა შოთა ზუკაკიშვილმა და მართლაც, წლევანდელ ჩემპიონატში 28 ფალავანი გამოვიდა. ნაწილობრივ ალბათ ამანაც გამოიწვია შეჯიბრების იაპონური (ძიუდოს) სისტემით ჩატარება, რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა, უფრო სერიოზული მიზეზიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ...

დილის შეხვედრებში ტურნირის ლიდერებმა წითელაურმა (თელავი), ნუგზარიშვილმა (კასპი), მუთოშვილმა (გორი), ნეკრესელაშვილმა (თბილისი), ჩოჩიშვილმა (გორი), ელოშვილმა (ქუთაისი), ყურაშვილმა (კასპი) და საგარეჯოელმა ოქრუაშვილმა 2-2 გამარჯვება იზეიმეს და ნახევარფინალში შესახვედრად დაწყვილდნენ.

საღამოს უფრო მეტი ხალხი მოვიდა გორის საჭიდაო დარბაზში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაყურებელმა მაინც ვერ გაავსო ტრიბუნები.

— ჭიდაობის ყურებას გადაეჩვია ხალხი, — მითხრა წარსულში ცნობილმა ფალავანმა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, 67 წლის ხიდისთაველმა **სანდრო ნაკაშვილმა** (ცაცალამ) — ჩემს დროს თბილისშიცა და გორშიაც უამრავი მაყურებელი იყრიდა თავს საჭიდაო დარბაზებში. ეგ კი არა, ბევრი შიგ შემოსვლასაც ვერ ახერხებდა და ქუჩაში ელოდებოდა შეჯიბრების დამთავრებას. რა დასამალია და თვითონ ქართული ჭიდაობაც გაუფერულდა. ეხლანდელი მოჭიდავე ქულებს დასდევს — ფანდი ჯერ არ ჩაუტარებია და უკვე მსაჯისკენ აცეცებს თვალსა — აბა ვნახო, ცერა თითს აიშვერს თუ არაო. ქულას აიღებს და აღარა ჭიდაობს, ხალიჩის გარეთ მიიწევს, პასიურობს. ხალხს კი, მოგეხსენებათ, ლამაზი, ვაჟკაცური სანახაობა უყვარს. აბა მიიხედ-მოიხედეთ, ვერ ატყობთ, რომ ამ დარბაზში უფრო ხნიერები სჭარბობენ და ისინიც ძველი, მეხსიერებაში შემორჩენილი ჭიდაობის ეშხით მოსულან? ჭიდაობას ბევრი კარგი სპეციალისტი ჰყავს საქართველოში და რა ვიცი, იქნება ჩემი ნათქვამი ცოტა ბრუნდედაც კი გაიგონ, მაგრამ ისე მგონია სწორედ იმ მაღლა აშვერილმა ცერა თითმა გააუფერულა ქართული ჭიდაობა... აგე იაპონელები! აბა ერთი მისხალი თუ დასთმონ თავიანთი ძიუდოს წესებისა. განა რით ჩამოუვარდება ქართული ჭიდაობა ძიუდოს, მაგრამ ჩვენებური ანდაზაა — „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო"... თუკი სიტყვა არ გამიგრძელდება, ერთსაც მოგახსენებთ: **ახალგაზრდობას ქართული ჭიდაობა რომ შევაყვაროთ, ამისათვის ხშირად უნდა გავმართოთ ასპარეზობანი — კარგი იქნებოდა გაზეთ „ლელოს" დაეწესებინა თავისი პრიზი, თუნდაც თასი, რომლის მოსაპოვებლად რეგულარულად გაიმართებოდა შეჯიბრებები ჩვენი რესპუბლიკის ხხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში...**

* * *

საღამოს შეხვედრები ფიცხელი ბრძოლით დაიწყო. ხალიჩაზე გამოვიდნენ თელაველი წითელაური და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ევროპის პრიზიორი, კასპელი ნუგზარიშვილი. წითელაური 30 წლის დაღვინებული ვაჟკაცია და საკმაოდ გამოცდილ მოჭიდავედ ითვლება. ნუგზარიშვილი კი 19 წლის ჭაბუკია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც მას აკლია სიდინჯე. მეტოქენი ფრთხილად ზვერავდნენ ერთმანეთს — სპეციალისტთა პროგნოზებს თუ დავუჯერებდით, ამ ბრძოლაში გამარჯვებული ფინალშიც უნდა გასულიყო. შეხვედრის ბედი ნუგზარიშვილის მიერ ჩატარებულმა ერთადერთმა ფანდმა გადაწყვიტა, რომელმაც მას ორი ქულა და გამარჯვებაც მოუტანა.

თბილისელი ნეკრესელაშვილისა და გორელი მუთოშვილის შერკინება კი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

შემდეგ ხალიჩაზე გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი და ქუთაისელი ელოშვილი. ეს შეხვედრა არც თუ საინტერესოდ წარიმართა, რადგან აშკარა უპირატესობა ოლიმპიური ჩემპიონის მხარეზე იყო, საბოლოო ანგარიშიც (6:0) ამის უთუო დასტურია, მაგრამ მაინც მინდა უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერი მოვიშველიო, რადგან ჩემის აზრით, იგი კარგად წარმოაჩენს ჭიდაობის ჩოჩიშვილისეულ მანერას: ჩოჩიშვილი (გორი) — ელოშვილი (ქუთაისი). შოთამ პირველივე წამებზე შუაკაურით ორი ქულა აართვა მეტოქეს. კიდევ ორი ქულა. ელოშვილი პასიური ჭიდაობისთვის გააფრთხილეს მსაჯებმა — 4:0. ქუთაისელი ფალავანი ცდილობს ფანდის ჩატარებას, მაგრამ არაფერი გამოსდის — შოთა დიდი ფიზიკური ძალის მქონე, დახვეწილი მოჭიდავეა — წელში გამართული დინჯად დადის ხალიჩაზე, მეტოქეს თავის ნებაზე დაატარებს, მშვიდი, ძალზე სერიოზული სახე აქვს (უნებურად ის დურგალი მახსენდება, ცულის ტარი რომ გაუკეთებია და ალა გულდასმით ათვალიერებს ხომ არაფერი დავაკელიო). უცებ ელვისებური ილეთით ხალიჩაზე ანარცხებს მოწინააღმდეგეს და ანგარიში იზრდება — 5:0. აქ ელოშვილმა უმწეო ღიმილით მოათვალიერა მაყურებელი... კიდევ ქულა — 6:0 და გონგის ხმა!

მომდევნო წყვილის, ოქრუაშვილისა და შარშანწინდელი აბსოლუტური ჩემპიონის ყურაშვილის შეხვედრა ამ უკანასკნელის წმინდა გამარჯვებით დამთავრდა.

ნახევარფინალში ოთხნი გავიდნენ: ნუგზარიშვილი (კასპი), მუთოშვილი (გორი), ჩოჩიშვილი (გორი) და ყურაშვილი (კასპი). როგორც ვხედავთ ბრძოლა ორი ქალაქის, გორისა და კასპის წარმომადგენლებს შორის გაიმართა.

ნოდარ ნუგზარიშვილმა (105 კგ.) ბრწყინვალე გარეკაურით ხალიჩას ბეჭებით გააკრა გორელი მუთოშვილი და ფინალში გავიდა. იაპონური სისტემის თანახმად მასთან დამარცხებული ფალავნები: მაზმიშვილი, შუბითიძე, წიკლაური და მუთოშვილი ეგრეთწოდებულ „დამამშვიდებელ" ფინალში მოხვდნენ.

ჩოჩიშვილმა ქულებით სძლია ყურაშვილს და ახლა მის და ნუგზარიშვილის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის ბედი.

შოთამ თავისი გამარჯვებით „დამამშვიდებელ" ფინალში შეიყვანა — ჩარქსელიანი, სოლოღაშვილი, ელოშვილი და ყურაშვილი...

შესვენების დროს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ანზორ ქიბროწაშვილს** ვესაუბრე:

— დღევანდელი ჭიდაობა ცოტა არ იყოს უფერულად მეჩვენება, — თქვა ანზორმა — სამწუხაროდ, ფალავნებმა მაყურებელს ვერ უჩვენეს ქართული ჭიდაობის ულამაზესი ილეთები — კისრული, მოგვერდი... მარტო ერთ-ორ უღიმღამო ბრუნს დავაჯერეს. ეგ იყო და ეგ. ვნახოთ რას მოგვიტანს ფინალური შეხვედრები.

— ქართული ჭიდაობის ტურნირის იაპონური სისტემით გამართვაზე რაღას გვეტყოდით — უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ეს „გადანერგვა?"

— პირიქით, იაპონური სისტემა სწორედ რომ ზედგამოჭრილია ქართული ჭიდაობისთვის. წრიულ სისტემას, რომლითაც ადრე ტარდებოდა შეჯიბრებები, მრავალი უარყოფითი მხარე ჰქონდა. ერთ ამბავს გავიხსენებ: 1958 წლის აბსოლუტურ პირველობაზე გორელმა ბერუაშვილმა ყველა შეხვედრა მოიგო, მაგრამ ფალავანი მაინც ვერ გახდა — გაიმარჯვა მეორემ, რომელსაც ორი შეხვედრა ჰქონდა წაგებული. აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული კი მხოლოდ ბეჭდაუდებელ ფალავანს შეეფერება. ეს სისტემაც სწორედ ასეთ მოჭიდავეს გამოავლენს.

პირველ „დამამშვიდებელ" ქვეჯგუფში ორმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა — გორელმა მუთოშვილმა ქულებით დაამარცხა გაზაშვილი და III ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, მეორე ქვეჯგუფში ოთხივე ფალავანი ასპარეზობდა. შეხვედრები ასე წარიმართა: ქობულეთელმა ჩარქსელიანმა დაამარცხა მცხეთელი სოლოღაშვილი და ქუთაისელი ელოშვილი, მაგრამ მესამე ადგილი (ამ სისტემის მიხედვით მესამე ადგილს ორი მოჭიდავე ინაწილებს) კასპელ ყურაშვილთან შერკინებაში დასთმო.

ახლა ჩემპიონიღა დარჩა გამოსავლენი.

ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი (106 კგ.) და ევროპის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ნოდარ ნუგზარიშვილი (105 კგ.). შოთამ შუაკაურის გამოყენება სცადა, მაგრამ ნოდარი მაგრად დაუდგა. ახლა ცერული მოსინჯა ჩოჩიშვილმა, ნოდარი ამჯერადაც დაუძვრა მეტოქეს. ბოლოს ჭიდაობა გაუფერულდა, მერე კი... პასიურობისთვის ორივე ფალავანმა გაფრთხილება მიიღო. მოულოდნელად შოთამ ელვისებური ილეთი ჩაუტარა მოწინააღმდეგეს და ერთი ქულა აართვა, რომელმაც გამარჯვება და საქართველოს ფალავნის ტიტული მოუტანა.

ახალ აბსოლუტურ ჩემპიონს დავით ბაქრაძის სახელობის პრიზი გმირის ვაჟმა დ. ბაქრაძემ გადასცა. ნ. ნუგზარიშვილს კი ყველაზე ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავისთვის დაწესებული პრიზი ერგო.

• • •

დამთავრდა შეჯიბრება. დარბაზიდან ნელ-ნელა გაიკრიფა ხალხი და ქუჩაში ყური მოვკარი, ერთმა ხანშიშესულმა მაყურებელმა როგორ იკითხა — გამარჯვებულმა ფალავანმა რატომ არ იცეკვაო? ზოგს ღიმილი მოჰგვარა ამ „გულუბრყვილო" შეკითხვამ, ზოგიც ჩააფიქრა. — მართლაც, ქართული ჭიდაობა ნელ-ნელა ხომ არ ჰკარგავს თავის ძველებურ ლაზათს? დავიწყებას მიეცა მრავალი ატრიბუტი, რაც მუდამ თან ახლდა ჩვენი ეროვნული სპორტის მშვენებას, მალე ალბათ ფალავნები მაგნიტოფონზე ჩაწერილი „საჭიდაო" ხმაზე შეერკინებიან ერთმანეთს, რადგან არა ჩანან ახალგაზრდა მუსიკოსებიც...

ნ. შატაიძე.

გორი.

„დაიბადა ახალი გუნდი“

ბუდაპეშტი. უნგრელმა ფეხბურთელებმა მეორედ გაიმარჯვეს ბოლივიის ნაკრებთან მატჩში და 12 წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება.

„ამის მიღწევა ადვილი არ იყო, — წერს გაზეთი „ნეპსაბადშაგი“, — ცნობილია, რომ 60-იანი წლების ბოლოს უნგრეთის ფეხბურთი კრიზისს განიცდიდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო კონტროლი გაეწია შექმნილი მდგომარეობისთვის, რამაც სერიოზული დაღი დაასვა სპორტულ საზოგადოებებში ფეხბურთის განვითარებას. წლების განმავლობაში არავის უცდია წესრიგის დამყარება. უპირველეს ყოვლისა საჭირო გახდა ფედერაციის ხელმძღვანელობის მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა. შემდგომი უკუსვლის შეჩერებას და თანდათანობით პროგრესის გზაზე დადგომას სამი წლის თავდაუზოგავი მუშაობა დასჭირდა“.

„ასეთი მძიმე პერიოდის შემდეგ, კვლავ შეიქმნა უნგრეთის ნაკრები, უფრო ზუსტად, დაიბადა ახალი გუნდი — ახალგაზრდა კოლექტივი, სადაც თამაშობენ ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელები, როგორიც არიან: ნილაში, ტერეჩეკი, კერეკი, ვარადი, კოჩიში, ხალასი. კოლექტივში ალმავლობით თამაშობენ უფროსი თაობის მოთამაშეებიც: პინტერი, ფაზეკაში. ამ გუნდის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვის უფროს მწვრთნელს ლაიოშ ბაროტის, რომელიც მომავალ წელს, 1958, 1962, 1966 წლების შემდეგ (ორი წელია ნაკრების უფროს მწვრთნელად მუშაობს) მეოთხედ უხელმძღვანელებს უნგრეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატში“.

„რა თქმა უნდა, არგენტინაში უნგრეთის ნაკრებს გაუჭირდება, — აღნიშნავს „ნეპსაბადშაგი“. — თუმცა არგენტინა ტანგოს სამშობლოა, მაგრამ 16 ფინალისტის მატჩები „როკის“ სტილით ჩატარდება. ამას კი მხოლოდ ყველაზე ძლიერნი და გამარჯვების უდიდესი სურვილით შეპყრობილნი თუ გაუძლებენ“. (საკდესი).

შორი გზა არგენტინამდე

1. აურზაური არაფრის გამო

Argentina '78

დღეს, როცა ცნობილია ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის თექვსმეტივე მონაწილე, როცა უკან დარჩა შესარჩევი მატჩების სიმძაფრით გამოწვეული მღელვარება, ძნელი არ არის ზოგიერთი დასკვნის გაკეთება ტურნირის პირველი ეტაპის ორწლიანი ციკლის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით. ერთი რამ უკვე ცხადია და გადაწყვეტილი — შესარჩევმა ტურნირებმა, შესაძლებლობის ფარგლებში დაასახელა ჭეშმარიტად უძლიერესი გუნდები, რომლებსაც გაისად არგენტინაში მოუხდებათ თამაში.

რა ვუყოთ, რომ ფინალში გასვლის უფლება დაკარგა რამდენიმე ღირსეულმა კანდიდატმა, მათ შორის ინგლისმა და ჩეხოსლოვაკიამ. შემთხვევითობის ფაქტორს, მთლიანად, ვერც ერთი შეჯიბრება ვერ გამორიცხავს, რაგინდ სრულყოფილი და შორს გათვლილი უნდა იყოს მისი სტრუქტურა და ფორმულა. ამ შემთხვევაში კი ფიფა-ს სპეციალურმა კომისიამ ჯგუფების დაკომპლექტებისას მეთოდიც უხეირო შეარჩია, რამაც გარკვეული სირთულეების წინაშე დააყენა საორგანიზაციო კომიტეტი და მისი ხელმძღვანელობაც.

მაგრამ საკითხავია, ჰქონდა კი რაიმე სერიოზული საფუძველი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ან მისი პრეზიდენტის ჟოაო ავილანჟის მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებსა და ბრალდებებს? თუ ყველაფერი განაწყენებულთა ჯგუფის რეაქციას უნდა მიეწეროს?

ალბათ ყველას კარგად ახსოვს თუ რა პანიკამ მოიცვა ძველი სამყარო, როცა შესარჩევი ჯგუფების წილისყრის შედეგები გახდა ცნობილი. ფეხბურთის ევროპელმა სპეციალისტებმა არაორაზროვნულად დასდეს ბრალი ფედერაციას და ორგანიზატორებს სამხრეთამერიკული გუნდებისადმი უკიდურეს სიმპათიებსა და მიკერძოებაში. და მართლაც, ჯერ კიდევ წილისყრის ოფიციალურ ცერემონიალამდე არგენტინისა და ბრაზილიის ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნდა სამხრეთამერიკელთა შესარჩევი ჯგუფების სავარაუდო შემადგენლობა, რომელიც შემდგომში, თითქმის მთლიანად დაემთხვა რეალურს. ეს იყო საკმაოდ მტკიცე და ლოგიკური საბუთი უნდობლობისთვის.

რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში ჟოაო ავილანჟის პერსონა, ერთბაშად კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა და პრეზიდენტის სახელი და ავტორიტეტი რომ გადაერჩინა, ფიფა-მ სახელდახელოდ რამდენიმე პროფილაქტიკური ღონისძიებაც განახორციელა.

თავდაპირველად, მსოფლიო პრესას შეახსენეს პრეზიდენტის ბიოგრაფიის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, სადაც განსაკუთრებით იყო ხაზგასმული მისი უმწიკვლო საქმიანობა წლების მანძილზე როგორც შინ, ბრაზილიაში, ისე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში ხელმძღვანელ პოსტებზე ყოფნისას.

ავილანჟი ბრაზილიაში ნატურალიზებული ბელგიელია. დაიბადა 1916 წელს რიო-დე-ჟანეიროში. იურიდიული განათლების მიღების შემდეგ დაინტერესდა ბიზნესით და მალე გაიკაფა გზა ამ სარბიელზე, როგორც ჭკვიანმა და წინდახედულმა საქმოსანმა. ერთხანს მისი არჩევანი სპორტსა და ბიზნესს შორის მერყეობდა, მაგრამ როგორც პრაქტიკულმა კაცმა ალღო აუღო ცხოვრების მოთხოვნებს და დარწმუნდა ყველა იმაში, რომ სრულებით არ არის აუცილებელი ამ ორი სფეროს გათიშვა ერთმანეთისგან. ავილანჟი თავისი გავლენიანი მეგობრების ხელშეწყობით ჯერ ერთ-ერთი მსხვილი სატრანსპორტო კომპანიის პრეზიდენტი გახდა, მერე კი ქიმიური, მეტალურგიული და ელექტრონული კონცერნები შემოიერთა, როგორც აპრობირებულმა ვიცე-პრეზიდენტმა.

1957 წლიდან ავილანჟი ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის მეთაურია. ამ როლში გამოიჩინა მან თავი, როგორც ინიციატივიანმა და პროგრესულად მოაზროვნე პრეზიდენტმა. მაგრამ ახალი ხელმძღვანელის ურთიერთობა სპორტთან მხოლოდ ამ ფორმალური კავშირით როდი შემოიფარგლა. ბერლინის ოლიმპიადის მოცურავეთა ტურნირის მონაწილემ და ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში ბრაზილიის წყალბურთელთა ეროვნული გუნდის წევრმა, რამდენიმე თამამი რეფორმა განახორციელა სპორტში და ერთი-ორად მეტი თანამოაზრე შეიძინა. როგორც ბიზნესის საკითხებში ხელგაწაფული ადამიანი, იგი ცდილობს მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომლის პრეზიდენტის პოსტზე ინგლისელი სტენლი როუზი შეცვალა.

სხვათა შორის ავილანჟი მსოფლიოს საფეხბურთო ლატარეის შემოღების ერთ-ერთი ინიციატორთაგანია, ლატარეისა, რომელმაც, როგორც ვარაუდობენ, ფიფა-ს ფინანსიური დამოუკიდებლობა უნდა მოუტანოს. ეს კი ნებისმიერი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციისთვის ნანატრი პრივილეგიაა. ავილანჟმა ეფექტურად წარმართა ურთიერთობა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებთანაც. მან ზუსტად განსაზღვრა სავარაუდო შემოსავლის საერთო ოდენობა — 26,5 მილიონი დოლარი. ამ თანხიდან 6 მილიონ 625 ათასს ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყანა — არგენტინა წაიღებს, 17 მილიონ 225 ათასს — ტურნირის მონაწილე სხვა თხუთმეტი ქვეყანა და 2 მილიონ 650 ათასს — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ოფიციალური საწევროს სახით. როგორც ხედავთ ფინანსების საკითხებში პრეზიდენტის ბუღალტერიას ნაკლს ვერ უპოვნით.

ასეთი რეკომენდაციებით გაავსო ფიფა-მ მსოფლიოს პრესა პრეზიდენტისთვის მძიმე დღეებში.

უფრო დასაბუთებულად დაიცვა თანამემამულე ბრაზილიის პოპულარულმა „გაზეტა ესპორტოვამ“. მისი აზრით შესარჩევი ჯგუფების წილისყრა გაცილებით უფრო ლოგიკური იყო სამხრეთ ამერიკული ქვეყნებისთვის, ვიდრე ევროპელთათვის.

და მართლაც, უმნიშვნელო პარალელის გავლებაც საკმარისია წინა და ახლანდელი ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებს შორის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბევრი რამ გასაოცრად დაემთხვა ერთმანეთს ამ ოთხი წლის მანძილზე ევროპაში. სამხრეთ ამერიკა წლევანდელ ტურნირში 9 გუნდით იყო წარმოდგენილი და, „გაზეტა ესპორტოვას“ მტკიცებით, ჯგუფების შემადგენლობა წინა ჩემპიონატთან შედარებით რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. მხოლოდ მესამე ჯგუფში დაწყვილდნენ ქვეყნები ისე, როგორც ოთხი წლის წინ — პერუ და ჩილე.

ევროპის ჯგუფებში კი, სადაც თავდაპირველად 30-მდე გუნდი იბრძოდა, ბევრი რამ ზუსტად განმეორდა. მაგალითად, ამჯერადაც ერთ ჯგუფში მოხვდნენ ჰოლანდიის, ბელგიისა და ისლანდიის ფეხბურთელები, საფრანგეთი და ირლანდია, იუგოსლავია და ესპანეთი, შოტლანდია და ჩეხოსლოვაკია.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირი ის იყო, რომ სსრ კავშირს, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, კვლავ მეცხრე ჯგუფი ერგო, სადაც გამარჯვებულს, წინა ჩემპიონატისა არ იყოს, ფინალში გასვლისთვის ერთ-ერთ სამხრეთამერიკულ გუნდთან უნდა ებრძოლა.

ყველა ამ ფაქტის ანალიზის საფუძველზე „გაზეტა ესპორტოვა“ ასკვნიდა — „სამხრეთ ამერიკელთა შეთქმულებაზე ლაპარაკი უაზრობაა ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ აქ ყველაფერი ლოგიკის თანახმად გადაწყდა. აი, ევროპის ჯგუფებში კი მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ტრადიციული უპირატესობა მიიღო წილისყრის შემდეგ, მეორე ნაწილი კი ასევე ტრადიციულად დაიჩაგრა“.

რაც შეეხება პრესაში გაპარულ „საიდუმლოებას“, „გაზეტა ესპორტოვა“ ამას უბრალო დამთხვევად მიიჩნევს, ვინაიდან არც ისე ძნელია ივარაუდო ცხრა გუნდის ადგილი ჯგუფში, როცა სამი მათ შორის ფავორიტია და წესის თანახმად არ შეიძლება ერთმანეთთან დაწყვილდეს.

ფიფამ და მისმა პრეზიდენტმა რის ვაი-ვაგლახით გაფანტეს ეჭვის ღრუბელი. რომელსაც, ცხადია, მოკლებული ჰქონდა ყოველგვარი საფუძველი და ამის მიუხედავად დიდი სკანდალის მიზეზი გახდა მსოფლიოს საფეხბურთო წრეებში. და მაინც, დავა და კამათი ამ საკითხის ირგვლივ დიდხანს გაგრძელდა.

ყველაზე დიდ უსამართლობად სპეციალისტებს დღესაც მეორე შესარჩევი ჯგუფის შემადგენლობა მიაჩნიათ, სადაც ორ აშკარა აუტსაიდერს — ფინეთსა და ლუქსემბურგს, ორი, არანაკლებ აშკარა ფავორიტი — იტალია და ინგლისი დაუპირისპირდა. გულდასაწყვეტი აქ არა მარტო ისაა, რომ ორიდან ერთი პრეტენდენტი უადგილოდ უნდა დარჩენილიყო ფინალში, არამედ ისიც, რომ ამით, პირველ ყოვლისა, თვით ფეხბურთი დაზარალდა, მსოფლიო ჩემპიონატის შეუბღალავი სახელი და ავტორიტეტი.

მაგრამ ინგლისური ფეხბურთის უბედურება მარტო ის კი არ არის, რომ ფინალისკენ გზის გაკაფვა იტალიის ძლიერ გუნდთან ორწლიანი მომქანცველი ბრძოლის პირობებში მოუხდა. ბრიტანულ ფეხბურთს ბოლო ხანებში რამდენიმე ლოკალური სატკივარი გაუჩნდა, რომელთაც ადგილობრივი სპეციალისტები დიდხანს არ ეპუებოდნენ.

1974 წელი სამარცხვინო ლაქაა ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში. ამ წელს ზარ-ზეიმით ჩამოაცილეს ნაკრებს მისი მაშინდელი მწვრთნელი ალფ რამსეი. და ყველაზე უფრო გასაკვირი ისაა, რომ არავის არ შეუხრია წარბი იმ ადამიანის სამარცხვინო გადადგომით, რომელმაც ყველაზე დიდ გამარჯვებამდე მიიყვანა ფეხბურთის სამშობლო. პირიქით, რამდენიმე კვირით ადრე პრესა რამსეის სამაგალითო დასჯას მოითხოვდა. უკმაყოფილებისა და პროტესტის ტალღა იმდენად დიდი იყო, რომ მწვრთნელი თავისი პოსტიდან შვებულებაში ყოფნისას გაათავისუფლეს, რაც თავის თავად, კონტრაქტის უხეშ დარღვევას ნიშნავდა.

რამსეის კონკრეტული ბრალდებები წაუყენეს. ჯერ ერთი ის, რომ ვერ უზრუნველყო ინგლისელთა მონაწილეობა მიუნხენის ჩემპიონატის ფინალში, შემდეგ ის, რომ 1966 წლის ოქროს გუნდმა რამდენჯერმე განიცადა ფიასკო ევროპის სტადიონებზე და ალბათ ისიც, რომ ჩარლტონი, მური, ბენქსი და ჰერსტი ველარ ბრწყინავდნენ ძველი ბრწყინვალებით. რამსეი ჯიუტი და გაუტეხავი კაცია. მან მშვიდად მოაწერა ხელი განაჩენს და თავისი შემდგომი ცხოვრება ინგლისელი სერის რანგში სამუდამოდ დაუკავშირა პროვინციულ „იფსვიჩს“. იმხანად გადაყენებულ მწვრთნელს არავინ თანაუგრძნობდა ოჯახის წევრთა და რამდენიმე ახლობელი ადამიანის გარდა. რამსეის სახელი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

ასე დასრულდა ბრიტანეთის კუნძულებზე ერთ დროს ყველაზე პოპულარული ადამიანის კარიერა. რამსეის მუდამ რთულ პიროვნებად თვლიდნენ, იგი არავისთან იყო ახლოს, არავის უხსნიდა ბოლომდე გულს, არავის აზრი არ მიაჩნდა ავტორიტეტად და არ ერიდებოდა კონფლიქტს საზოგადოებასთან. და აი, სწორედ ამ კონფლიქტმა მოუღო მას ბოლო.

გავიდა სულ რაღაც სამიოდე წელი და ინგლისის ფეხბურთი წარსულზე გაუგებარმა სევდამ შეიპყრო. ყველაზე უფრო გასაკვირი ამ მოულოდნელ ტრანსფორმაციაში ის იყო, რომ რამსეის დამცველთა როლში, პირველ ყოვლისა, მისი გუშინდელი დაუძინებელი მტრები გამოვიდნენ — ფეხბურთის ასოციაცია და პრესა.

მაგრამ რამსეი საკმაოდ კერკეტა კაკალია. შიშველი ხელებით მას ვერაფერს დააკლებ. ამას წინათ მან მკვახე ფორმებში გამოხატა თავისი კრედო: „57 წლის ასაკში დაბრუნება? მხოლოდ სულელი თუ მოისურვებს ამას. ინგლისურ ფეხბურთს რკინის მუშტი სჭირდება და ქვის გული. მე კი არც ერთი მაქვს და არც მეორე. ამიტომაც არც სურვილი მაქვს კიდევ ერთხელ გავხდე დაცინვისა და დევნის ობიექტი“.

და მაინც რამსეი ხალისით საუბრობს ინგლისური ფეხბურთის პრობლემებზე, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნე შესწირა. მას დღესაც მიაჩნია, რომ რიგითი ფეხბურთელებისგან შეიძლება კარგი გუნდის შექმნა, თუ თამაშს საფუძვლად დაედება კოლექტივიზმის პრინციპი და პირიქით, ღრმად არის დარწმუნებული, რომ ნიჭიერ ფეხბურთელთა თანავარსკვლავედი ვერ შექმნის ანსამბლს, თუ ეს პრინციპი იქნა უარყოფილი.

სანამ რამსეი რიტორიკით იყო გართული, ინგლისის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა მეორე, არანაკლებ ტრაგიკული ფიგურა დონ რივი.

მაგრამ რივის ტრაგედიას უფრო რეალური მიზეზები აქვს. ინგლისის ნაკრებმა მის ხელში ოთხი დიდი ტურნირიდან სამი წააგო (ევროპისა და დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატები, აშშ-ს 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი). მეოთხე მოახლოებულ მარცხს კი აღარ დაელოდა — თვითონ გადადგა.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იტალიელებთან დამარცხების შემდეგ ინგლისური ფეხბურთი პესიმიზმმა შეიპყრო. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სპეციალისტი თუ გულშემატკივარი პირზე ცოფმორეული ამტკიცებდა: ჩვენი ფეხბურთის უბედურება ისაა, რომ აღარ გვყავს ექსტრა კლასის მოთამაშეები. რივი ასეთ პესიმიზმს არ იზიარებდა. ცუდი თამაშის მიზეზს ნაკრებისა და საკლუბო ფეხბურთის დონის სხვადასხვაობაში ხედავდა, მაგრამ ვერაფრით ვერ აეხსნა ამ ულოგიკობის მიზეზი.

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა სცადა მიმომხილველმა ლესლი ვერნონმა. ინგლისის ნაკრებს იმიტომ არა აქვს ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე, რომ იქ სულ სხვა საფეხბურთო სტილი და კონცეფცია არის გაბატონებული. საქმე მარტო ის კი არ არის, — ამბობს ვერნონი, — რომ ჩვენი მეტოქეები დაიბადნენ სადღაც სხვაგან და არა ბრიტანეთში, არამედ ისიც, რომ ერთმანეთს სულ სხვა საფეხბურთო ენით ველაპარაკებით.

მართლაც, რა დასამალია, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი საფეხბურთო კონცეფცია, რომელიც განისაზღვრება ამ ქვეყნების ეროვნული ხასიათით, კლიმატური პირობებით, თუ გნებავთ კვების რეჟიმითაც კი და ტრადიციებით. არ არსებობს თანამედროვე ფეხბურთის ერთიანი, დოგმატური მსოფლმხედველობა, უნივერსალური ფორმულა, რომელიც თანაბრად შეიძლება გამოადგეს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ზოგადი და ერთიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფეხბურთის განვითარების ტენდენცია, თორემ სტილი მუდამ ინდივიდუალურია და განსხვავებული. სწორედ ამიტომ, ინგლისი უნდა დარჩეს თავისი თავის, ტრადიციული სტილის ერთგული, მაგრამ ისე ბრმად კი არა, როგორც ამას ზოგიერთი თეორეტიკოსი მოითხოვს.

ისინი ავტორიტეტულად აცხადებენ: სანახაობრივი ფეხბურთის დრომ კარგა ხანია მოჭამა ჭირი. და თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშის სურვილი გვაქვს, უსიტყვოდ უნდა აღვადგინოთ ძალაზე, გამბედაობასა და ხასიათზე დამყარებული ტრადიციული ინგლისური ფეხბურთი. თუ ეს თვისებები ინგლისური ფეხბურთის ძირითადი ნიშნებია, ცხადია, აზრი აქვს მათ აღდგენაზე ლაპარაკს, მაგრამ ის, რომ სანახაობრივმა ფეხბურთმა მოჭამა თავისი დრო, არ არის სწორი. რა წამსაც დაჰკარგავს ფეხბურთი სანახაობრივ მხარეს — დაჰკარგავს პოპულარობას, აუდიტორიას და მაშასადამე გადაგვარდება. ვინ იტყვის, რომ მაყურებელს არ აინტერესებს ქულები, მაგრამ სტადიონზე იგი, პირველ ყოვლისა პელეს, კრუიფისა და ბეკენბაუერის სანახავად მოდის, თორემ ქულებს ზეპირადაც მიუმატებს ერთმანეთს.

უნგრული იუმორისა არ იყოს, ნებისმიერ გუნდში ორი კატეგორიის ფეხბურთელებს შეხვდებით: „მათ, ვინც პიანინოს თრევა იციან და მათ, ვინც ამ ინსტრუმენტზე უკრავენ. აი მაშინ უსათუოდ დაგვებადება კითხვა: ნეტავ რამდენია ისეთი მაყურებელი, რომელიც დიდ თანხას გადაიხდის, რათა ნახოს როგორ მიათრევენ პიანინოს?...

ნ. ბუგუშვილი.

(გაგრძელება იქნება)

* * *

სურათზე: 1966 წელი. ლონდონი. „უემბლის“ სტადიონი. ინგლისელი ფეხბურთელები და ნაკრების მწვრთნელი ალფ რამსეი (მარცხნივ) ნიკეს თასით.

ფეხბურთი

თასი — პოლიტექნიკოსებს

განვლილ შაბათს დამთავრდა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების თასის გათამაშება ფეხბურთში. გადამწყვეტ, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები.

მეტოქეებმა ღირსეულად იბრძოლეს გამარჯვებისთვის. ამ ასპარეზობაში წარმატება წილად ხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს, რომელმაც მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 1:0. პოლიტექნიკოსელებს გადაეცათ საპატიო თასი.

„კოსმოსში“ გადადიან

როგორც პარიზის „ეკიპი“ იტყობინება, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიელებს რიველინოსა და მარინიოს გადაწყვეტილი აქვთ ნიუ იორკის „კოსმოსში“ გადასვლა.

ბრაზილია — № 1 კანდიდატი

ლონდონელმა ბუკმეკერებმა არგენტინის მომავალ პირველობაზე უპირველეს ფავორიტად მსოფლიო სამგზის ჩემპიონები, ბრაზილიის ნაკრები დაასახელეს.

შეხვედრა ფარმაცევტებთან

იმ დღეს სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მოუთმენლად ელოდნენ შეხვედრას ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ დიდოსტატ ნ. გაფრინდაშვილთან.

ქარხნის კლუბში ტევა არ იყო. შეხვედრა გახსნა პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ თ. დიხამინჯიამ. სახელოვან მოჭადრაკეს მიესალმნენ: ტექნიკური განყოფილების უფროსი ნ. ცერცვაძე, საამპულო საამქროს ცვლის უფროსი ზ. კობაძე, ამავე საამქროს კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი ი. ამირიანი და ქარხნის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ძნელაძე.

ნ. გაფრინდაშვილის დიდ საჭადრაკო და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა ჟურნალისტმა თ. გიორგაძემ.

მსოფლიო ჩემპიონმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებები ლაიფციგის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის შესახებ. მან თქვა, რომ უჩვეულო, მძიმე რეგლამენტმა ხელი შეუშალა წარმატებით განევითარებინა კარგად აღებული სტარტი. გაფრინდაშვილმა პასუხი გასცა ბევრ შეკითხვას, მომავალ გეგმებზე საუბრისას კი აღნიშნა, რომ იგი უკვე შეუდგა მზადებას მსოფლიო პირველობის მატჩისთვის, რომელიც 1978 წლის მეორე ნახევარში გაიმართება.

შეხვედრის დასასრულს ნ. გაფრინდაშვილმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 15 დაფაზე და ყველა პარტია მოიგო.

ზ. კობაძე.

• • •

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

კალათბურთი

უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე **დნეპროპეტროვსკის** ქვეჯგუფში შეხვედრები დამთავრდა. შაბათის ტურში არავითარ მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონია. ამ დღის ტექნიკური შედეგები ასეთი გახლავთ: „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) 74:58, „დინამო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 85:76, „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 64:59.

სამაგიეროდ, კვირას უკანასკნელ ტურში მოულოდნელი გახლდათ მოსკოვის ოლქის „სპარტაკის" წაგება დედაქალაქის „დინამოსთან". აღსანიშნავია, რომ „სპარტაკი" ჩემპიონატის ლიდერია და მისი ამ დღევანდელი მარცხი შესაძლოა ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში საბედისწერო გამოდგეს.

კვირის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) — „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) 82:64, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 63:57.

ვილნიუსის ქვეჯგუფში გაიმართა ბოლოსწინა ტური. ლენინგრადის „სპარტაკმა" სძლია პენზელ თანაკლუბელებს — 85:71. ვილნიუსის „კიბირკშტისმა" — ნოვოსიბირსკის „დინამოს" — 87:69, ტტტ-მ — ცსკა-ს 85:57.

მძლეოსნობა

„ოლიმპიადა 56-ის" დედაქალაქ მელბურნში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ახლა ავსტრალიაში შუა ზაფხულია და ბუნების ამ წყალობას „სპორტის დედოფლის" მოყვარულები უნარიანად იყენებენ მოსკოვის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად.

ამერიკელმა ქალმა ფ. ლარეჩ 1500 მეტრი 4 წუთსა და 12,5 წამში გაირბინა, ხოლო ახალგაზრდა ავსტრალიელმა დ. კომონსმა სამხტომში 16,52 მეტრი აჩვენა.

სხვადასხვა

ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ინსბრუკის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ველოტრეკზე მსოფლიო ჩემპიონმა შ. იანგმა (აშშ) გადაწყვიტა სამუდამოდ გამოემშვიდობოს დიდ სპორტს. იგი 1980 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ლეიკ პლესიდში საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობაში იმუშავებს.

წლევანდელი შედეგების მიხედვით შვეიცარიის № 1 სპორტსმენ ქალად დასახელებულია სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის შარშანდელი მფლობელი ლიზ-მარი მორეროდი, ვაჟებს შორის — აკვრაში მსოფლიო ჩემპიონი, პირველი მძიმე წონის მიშელ ბრიულოტი.

სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი როზი-მარი აკერმანი (გდრ) კვლავ პირველ ადგილზეა „მსოფლიო საუკეთესო მძლეოსანთა შორის". ამჯერად მას ეს პირველობა აშშ-ს სპორტულმა ჟურნალისტებმა და ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდ ნიუს"-მა მიანიჭა. გამოკითხვაში მეორე ადგილზეა პოლონელი ირენა შევინსკა, მესამეზე — მარლის ელზნერი (გდრ).

I ლიგა

ახალი სისტემით

თბილისსა და ტალინში დაიწყო ფრენბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა. შარშანდელთან შედარებით, მონაწილე გუნდების რაოდენობა ორით გაიზარდა. ახალი დებულების თანახმად, ამ ლიგის ყველა გუნდი თბილისსა და ტალინში ასპარეზობის შემდეგ ომსკში შეიკრიბება, სადაც პირველ-ოთხ ადგილზე გასული გუნდები შემდგომ ეტაპზე შეხვდებიან უმაღლესი ლიგაში ბოლო ოთხ ადგილზე გასულ კოლექტივებს. ეს ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება და გამოავლენს ოთხ კოლექტივს, რომლებიც საგაისოდ უმაღლესი ლიგის საგზურებს მიიღებენ.

თბილისში ასპარეზობენ ზაპოროჟიეს „ორბიტა", ჩელიაბინსკის „ტექნოლოგი", ალმა-ათის ადკ, ოდესის „მედინი", დუშანბეს „აზო", კაუნასის „დინამო" და თბილისის „ბურევესტნიკი".

პირველ ორ ტურში მასპინძლებმა მშრალი ანგარიშით — 0:3 წააგეს „ტექნოლოგთან" და ადკ-სთან. მესამე დღეს კი მათ მონდომებით ჩაატარეს შეხვედრა „აზოსთან" და მოიგეს — 3:2.

დაუმარცხებლად ასპარეზობენ „მედინი" და „ორბიტა".

ჯ. კასრაძე.

პრიზი—„კოლმეურნეს"

ბაკურიანი, 26 დეკემბერი. (ტელეფონით). რესპუბლიკაში ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ბოლო სტარტები გუშინ გაიმართა. სამთო-მოთხილამურენი კოხტაგორაზე გიგანტურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, სიტყვა „გიგანტური" პირობითია, ვინაიდან მსაჯთა კოლეგიამ პირველ სტარტებში მონაწილეებისთვის საკავშირო სტანდარტების შესაბამის ტრასაზე ტურნირის ჩატარებას თავი აარიდა, რადგან მოთხილამურეებს გაწვრთნილობა ჯერ კიდევ აკლიათ.

ვაჟთა შორის ყველაზე სწრაფი გამოდგა სპორტის ოსტატი ა. სტეპანიანი („შრომითი რეზერვები"), რომელმაც სტარტიდან ფინიშამდე მისვლას 59,8 წამი მოანდომა. მას 0,3 წამით ჩამორჩა დინამოელი ა. კოზანაშვილი. ზ. მაკიევმა („შრომითი რეზერვები") III ადგილი მოიპოვა — 1.02,2.

ქალთა შორის ყველა საპრიზო ადგილი დინამოელებს ხვდათ. მ. კოზანაშვილის შედეგია — 1.06,1, ც. კოზანაშვილისა — 1.12,4, თ. გელაშვილისა — 1.18,3.

სამთო-მოთხილამურეთა გუნდურ ჩათვლაში I და II ადგილები „დინამოს" პირველმა და მეორე კოლექტივებმა მოიპოვეს, რომლებმაც შესაბამისად 113 და 136 ქულა მოაგროვეს. III ადგილზე გავიდა „კოლმეურნე" — 137.

მორბენლებს იმ დღეს პროგრამაში ჰქონდათ ესტაფეტები. ქალთა შორის გუნდის გამოყვანა ვერავინ შეძლო. ვაჟებში მარტო „კოლმეურნემ" მოახერხა ორი ნაკრების დაკომპლექტება. დანარჩენი მორბენლებისგან შედგა პროფკავშირული ნაკრები. საბოლოოდ 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში იმარჯვა „კოლმეურნის" პირველმა ტრიომ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. სოლოიანი, ვ. ვოლკოვი და ნ. მიტინი — 1:01.13.

პროფკავშირული ნაკრები გ. მაკიევის, ვ. ტერეხოვისა და რ. ზედგენიძის შემადგენლობით II ადგილზე გავიდა — 1:02.55. ფინიშთან მესამე მივიდა „კოლმეურნის" მეორე გუნდი — 1:07.41.

თოვლის სიმცირისა და ტრამპლინების მოუმზადებლობის გამო „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრება არ გამართულა.

სეზონის გახსნის ჯილდოზე საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებმა, რომელმაც 102 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან „ბურევესტნიკი" — 56 და „სპარტაკი" — 40.

ვ. ფანჯაკიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
მ. ზაქარეიშვილი.

სპარტაკიადის ემბლემით



სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის ფინალურ სტარტებამდე ორ თვეზე ცოტა მეტი დრო რჩება, მაგრამ რესპუბლიკების კოლექტივები, ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში უკვე ამოწმებენ ძალებს.

ერთი ასეთი ასპარეზობა გაიმართა **კოლომნაში.** აქაურ ხელოვნურ საციგურაოზე გათამაშდა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზები მცირე მრავალჭიდში. ვაჟთა შორის 500 მეტრზე რბოლა მოიგო ვ. ლობანოვმა (მოსკოვი) — 40,06. 3000 მეტრზე იმარჯვა უგლიჩელმა ვ. ბელოვმა — 4.20,41. II ადგილზე გასულმა ვ. ზაზერსკიმ (სიკტივკარი) დაბლობის საციგურაოებისთვის იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 4.21,78. ცოტა ადრე აქვე მოზარდთა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა ლენინგრადელმა დ. ბოჩკარიოვმა, რომელმაც 5000 მეტრი 7 წუთსა და 36,68 წამში დაფარა.

ქალთა შორის შესანიშნავად იასპარეზა ლენინგრადელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. სტეპანსკაიამ, რომელმაც 1500 მეტრი 2.18,67-ში გაირბინა. ამ საციგურაოზე ასეთი დრო ჯერ არავის უჩვენებია.

ბრატსკში სტარტი აიღო მოციგავეთა საკავშირო ჩემპიონატმა. უძლიერესნი უკვე გამოვლინდნენ ერთადგილიანი ციგებით დაშვებაში. ქალთა შორის (ისინი 873-მეტრიან ტრასაზე ასპარეზობდნენ) სამი ცდის ჯამში ყველას აჯობა რიგელმა ა. რიბენამ — 1.56,0. მისი თანაგუნდელი, სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ვ. ზოზულია გამარჯვებულს 1 წამით ჩამორჩა. ორმა სპორტსმენმა — ე. ჩერიომისინამ („ენბეკი") და ნ. მიტკევიჩმა („ზენიტი") ზუსტად ერთნაირი დრო — 1.57,6 აჩვენეს და III-IV ადგილები გაიყვეს.

მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ა. ოქრომირიძის ნახატები.

შავი კონტინენტის ნათელი იდეები

აფრიკის კონტინენტზე თანდათან მომრავლდა ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. საუკუნეების მანძილზე ინგლისელების, ფრანგების, ესპანელების, პორტუგალიელებისა და სხვათა უღელქვეშ ნამყოფმა მილიონობით ადამიანმა თავისუფლება იგემა, თვითონ გახდა საკუთარი ბედის განმგებელი.

ბევრ ქვეყანაში დემოკრატიის გამარჯვების შემდეგ ფიზკულტურამ და სპორტმა არნახული გაქანება ჰპოვა. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში გამოჩნდნენ მათი წარმომადგენლები, რომელთაგან ბევრმა სპორტული სამყარო აალაპარაკა.

კონტინენტი იბრძვის ახალი სპორტული სიმაღლეების დასაპყრობად, მსოფლიო სარბიელზე ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აფრიკის ქვეყნების თამაშები, რომლებიც გაისად მესამედ გაიმართება, ამჯერად მას ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ალჟირი უმასპინძლებს.

როგორც ცნობილია, I აფრიკული თამაშები 1964 წელს ბრაზავილში (კონგო) ჩატარდა, II თამაშები კი ხუთი წლის წინათ ლაგოსში (ნიგერია) გაიმართა. და აი, ახლა დღის წესრიგშია მესამე თამაშები, რაც აფრიკის სპორტული მოძრაობის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისად მიაჩნიათ.

ალჟირის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ამ ფორუმზე აფრიკის სპორტი მთელი თავისი ბრწყინვალებით წარსდგეს. საორგანიზაციო კომიტეტში ძალ-ღონეს არ იშურებენ ღონისძიების რაც შეიძლება მაღალ დონეზე ჩასატარებლად, რადგან იგი, როგორც ამ კონტინენტზე თვლიან, ფაქტიურად მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის ძალების ერთ-ერთი სერიოზული დათვალიერება იქნება.

ალჟირში III აფრიკული თამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას ამ ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელობაც აქვს: მის ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული მომავალში კონტინენტზე მსოფლიო მასშტაბის ასპარეზობების გამართვა, ეს კი თავის მხრივ კიდევ

ალჟირში საასპარეზოდ მოელიან მთელ დამოუკიდებელ აფრიკას — ლუანდიდან ტუნისამდე. ზოგიერთი არაკეთილმოსურნის აზრით, სხვა პოლიტიკური წყობის მქონე ზოგიერთი სახელმწიფო თამაშებს თავს აარიდებს. მაგრამ საბედნიეროდ, ასეთი თითო-ოროლა თუა, ეს კი ოდნავადაც ვერ შელახავს ავტორიტეტს მომავალი სტარტებისა, რომლებმაც ამ ქვეყნის ახალი ტალანტები უნდა წარმოაჩინონ.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
7 ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 10299